თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3980344

ნომერი: AR1599539

თარიღი : 08.05.2018

გაცემის თარიღი : 25.05.2018

გაცნობის თარიღი : 25.05.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ფარნავაზი , -ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დალი კილაძე პ/ნ 01008010377
- თბილისი წყნეთის ქ. N 6 ბ. 40

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "დ-არტ" კოდი: 405055103

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 აგვისტოს №3444390 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 08 მაისის №AR1599539 განცხადებით მომართეს დალი კილაძემ და ჯემ აიდემირმა და მოითხოვეს ამავე სამსახურის 2017 წლის 04 აგვისტოს №3444390 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 04 აგვისტოს №3444390 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ფარნავაზის გამზირის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.06.003.005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
განმცხადებლები განმარტავენ, რომ სამსახურის 2017 წლის 04 აგვისტოს №3444390 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, შეთანხმებულ გეგმებზე არასწორად არის დაფიქსირებული სათავსების ფართობები. განაცხადით წარმოდგენილია შესწორებული გეგმები.
სამსახურმა 2017 წლის 04 აგვისტოს №3444390 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წარმოდგენილი გასწორებული გეგმები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, შესაბამისად, განმცხადებლების მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლია და უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 აგვისტოს №3444390 ბრძანებაში, კერძოდ, შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლეს 2018 წლის 08 მაისის №AR1599539 განცხადებით წარმოდგენილი, გასწორებული გეგმებით.

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 აგვისტოს №3444390 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 04 აგვისტოს №3444390 ბრძანებასთან ერთად;